საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

საქართველოს პარლამენტი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

8 Rustaveli Avenue, 0114,Tbilisi,Georgia.
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 100
„13“ „05“ 2019 წ.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ენერგო ეტიკეტირების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტების (№07-2/345; 08.05.2019) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ენერგო ეტიკეტირების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები (№07-2/345; 08.05.2019) და აღნიშნავს შემდეგს:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონპროექტს თან ერთვის ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 19 მაისის 2010/30/EU დირექტივა „ენერგომომხმარებელი პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ და მათ მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებასთან მიმართებით პროდუქტთან დაკავშირებული სტანდარტული ინფორმაციის განთავსების თაობაზე“. აღსანიშნავია, რომ ეს დირექტივა ამჟამად ძალადაკარგულია და ჩანაცვლებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის 2017/1369 (EU) რეგულაციით „ენერგოეტიკეტირების ჩარჩოს დადგენის შესახებ და 2010/30/EU დირექტივის გაუქმების თაობაზე“, თუმცა ამ რეგულაციის ქართულენოვანი თარგმანი და მასთან შესაბამისობის ცხრილი წარმოდგენილი არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს პარლამენტის ბიუროს იმსჯელოს საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული „ენერგო ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და გამომდინარე კანონის პროექტის განხილვის პროცედურების დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი